შპს „მტკვარი ჰესი“

MTKVARI HESI

N 2021/06/15-1

15.06.2021

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს**

ბატონო ლევან,

მოგეხსენებათ, რომ შპს „მტკვარი ჰესი“-ზე, ახალციხის მუნიციპალიტეტში, 220 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 08 სექტემბერს გაცემული აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №64.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი წესით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის №2-19 ბრძანებით აღნიშნულ პროექტზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ეგხ-ს არსებული ტრასის ფარგლებში გეოლოგიური პირობების გაუარესების გამო, შპს „მტკვარი ჰესი“ გეგმავს 220 კვ. ძაბვის საჰაერო ეგხ-ს №2-№8 საყრდენებს შორის რეკონსტრუქციას, ტრასის ცვლილებით. დაგეგმილი სამუშაოები წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას/ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შპს „მტკვარი ჰესი“ წარმოგიდგენთ, მტკვარი ჰესის 220კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურის „ახალციხე“-ს დამაკავშირებელი 220კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცვლილების პროექტის განახლებულ სკრინინგის ანგარიშს, რომელიც მომზადებული იქნა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

გთხოვთ, შეწყვიტოთ #9489 (01.06.2021წ.) განცხადებით დაწყებული საქმისწარმოება და განიხილოთ წარმოდგენილი განახლებული სკრინინგის ანგარიში.

დანართი:

1. სკრინინგის ანგარიში -1 ეგზემპლარი;
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილის სახით)- 1 ცალი CD.

პატივისცემით,

ალექსანდრე ოქროშიძე
დირექტორი

შპს „მტკვარი ჰესი“ * MTKVARI HESI LLC * 205271043 *



საქართველო, ქ.თბილისი 0102. ე. ახვლედიანის ხევი #3, I სართული.
#3. El. Akhvlediani Valley. 1st Floor, 0102 Tbilisi, Georgia. Tel: +995 32 - 2 916 949 e-mail: info@hpp.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10484
"15" 06 2021
1 ფ.
+ 03 +